სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია შოშიაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მაია შომიაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით.

კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ მაია შომიაშვილის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრიან გათანაბრებული), სპეციალობით მუშაობის 34 წლიანი, მათ შორის, მოსამართლედ მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება. ამჟამად, მაია შომიაშვილი სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს რუსთავის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლედ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში,

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული დ პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის პატიოსნება, შესაბამისი შეგნება, სიმართლის მოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მაია შოშიაშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ როგორც თავდაჭერილ, კოლეგიალურ, კეთილსინდისიერ პიროვნებას. გამოარჩევენ მის მაღალ კომპეტენციას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

მაია შოშიაშვილი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ერიცხება.

1. 2.დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით მაია შოშიაშვილი ობიექტური, პიროვნულად მტკიცე, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და მედეგი პიროვნებაა. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

1.3.პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა, სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას და სხვა. აგრეთვე, საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება.

კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ასევე, სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ მიუღია.

კოლეგების შეფასებით, მაია შოშიაშვილი გამოირჩევა ეთიკური ქცევებით, ღირსების შეგრძნებით. რესპოდენტების შეფასებით კანდიდატი კორექტული, თავდაჭერილი და გაწონასწორებული პიროვნებაა.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად სტაბილურია, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. მაია შოშიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია.

1.5. ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მაია შოშიაშვილი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

საერთასამართლო გამოცდილების მქონე კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული

თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი – აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შესაფასებლად შევისწავლე მაია შოშიაშვილის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ:

1.რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-672-21; **2.** 2022 წლის 23 ივნისის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-517-21; **3.** 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-21-22; **4.** 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-459-21; **5.** 2022 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-565-21.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების შესწავლის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ მაია შოშიაშვილი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ მაია შოშიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 1999 წლის 27 მარტს,

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მაია შოშიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა. მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

წარმოდგენილ განაჩენებში მაია შოშიაშვილის მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული განაჩენი. კანდიდატის მიერ მიღებული სასამართლო განაჩენზე მუშაობისას გამოავლინა

ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი. ამასთან, საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანდიდატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 95,6%-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, მაია შოშიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 19 ქულა.**

2.3. წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესწავლილ იქნა მაია შოშიაშვილის სასამართლო განაჩენები, რომლის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. მაია შოშიაშვილის მიერ განხილული საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მაია შოშიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 19 ქულა.**

2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ მაია შოშიაშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს კომუნიკაციის სათანადო უნარებს. კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესში გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. საჯარო მოსმენისას კანიდატი კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ ზოგად შეკითხვებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **15 ქულიდან 14 ქულა.**

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და სტრესულ

სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები მაია შოშიაშვილს ახასიათებენ პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ და დატვირთულ სამუშაო ვითარებაში პროდუქტიული მუშაობის უნარი. კოლეგები უთითებენ, რომ კანდიდატი სასამართლო პროცესს წარმართავს სათანადოდ, ხოლო მხარეების მიმართ ურთიერთობისას გამოირჩევა გულმოდგინებით. ამასთან, პროცესს წარმართავს ჯეროვნად და სათანადოდ. ფლობს შესაბამის საპროცესო ნორმებსა და უნარ-ჩვევებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მაია შიოშვილის საანგარიშო პერიოდში (993 დღე) დასრულებული აქვს 3854 საქმე, დღეში საშუალოდ 3,9 საქმემდე. კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა 100%; ხოლო საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - 100%; რაც საერთო ჯამში მიუთითებს კანდიდატის პუნქტუალურობასა და ორგანიზებულობაზე.

ყოველივე ‘ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით მაია შოშიაშვილი უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 15 ქულით.**

2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საიფსისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მაია შოშიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები: 2022 წლის 29 აპრილი - 1 მაისი, ბორჯომი, სემინარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“

2022 წლის 16-17 ივლისი, ბორჯომი, საპილოტე სემინარი – „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“; 2022 წლის 28-30 ოქტომბერი, ლოპოტა, სემინარი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“; 2024 წლის 11-18 თებერვალი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), ტრენინგი „ციფრული სახის მტკიცებულებები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის“ და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **5 ქულიდან 4 ქულა.**

2.7. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი,

იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მაია შოშიაშვილი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად. იდეების/წინადადებების შეფასებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ კანდიდატი ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ლექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში - 2003-2004 წლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მაია შოშიაშვილი უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 4 ქულით.**

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

მაია შოშიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **93 ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) 93%-ს შეადგენს.**

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

09.12.2024 წელი